სადამრიგებლო პროგრამა 2022-2023 წელი

XIIბ კლასი

კლასის ხელმძღვანელი: მაკა ჯანელიძე

მიზნები და ამოცანები

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში; დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

- მოსწავლეებთან ერთად შევქმნა ხელსაყრელი პირობები სწავლისათვის
- შევძლო მოსწავლეებში ქვეყნის ინტერესების და ღირებულებების მიმართ, პასუხისმგებლობის გაღვივება.
- დავეხმარო ბავშვებს საკუთარი შესაძლებლობების დადგენასა და განსაზღვრაში, რათა მათ მყარი ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში.
- განვუვითარი მოსწავლეებს ისეთი უნარ-ჩვევები, რომ იყვნენ კანონმორჩილნი და ტოლერანტი მოქალაქეები.
- კლასგარეშე პროგრამების განხორციელება დამოკიდებულია მშობლების, განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების და თემის წევრების მხარდაჭერაზე. დიდია ოჯახების როლი კლასგარეშე აქტივობებში, რადგან ისინი პირდაპირ კავშირში არიან და გავლენას ახდენენ ბავშვებზე. ამიტომ, აქტიურად ვითანამშრომლებ მათთან და მექნება ურთიერთობა წერილობითი ფორმით. მშობლებს ავუხსნი, თუ რას ვგეგმავ წლის ან სემესტრის განმავლობაში, რა ცოდნას მიიღებს მოსწავლე, რა შედეგს უნდა მიღწიოს მან სასწავლო წლის ბოლოს. მართალია, მშობელთან მუშაობა ჩემგან დამატებით დროს, ენერგიასა და მოთმინებას მოითხოვს, მაგრამ ამ შრომის გაწევა იმისთვის ღირს, რომ ერთგვარი მოკავშირე მყავდეს, რომელიც ბავშვს პროგრამის დაძლევისას წარმოქმნილი სირთულეების გადალახვაში დაეხმარება. მშობელთა უმრავლესობა არ არის აქტი
- ურად ჩართული არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ სასკოლო ცხოვრებაშიც. როგორც წესი, ისინი ფიქრობენ, რომ სკოლასთან ინტენსიური თანამშრომლობით ბევრს ვერაფერს შეცვლიან. თუმცა, როგორც კი მშობლებს საშუალება ეძლევათ, ამ პროცესში უშუალოდ ჩაერთონ, მათი უიმედო დამოკიდებულება ქრება და ისინი ხვდებიან, რომ აქტიურობა, მართლაც, მნიშვნელოვანია. მშობლებს იმ ღონისძიების შესახებ შევატყობინებ, რომელსაც უახლოეს მომავალში ვგეგმავ და ვთხოვ, რომ

მოსამზადებელ სამუშაოებში შეძლებისდაგვარად ჩაერთონ. მათი ჩართულობა მოსწავლეთა მოტივაციას საგრძნობლად აამაღლებს.

№	ჩასატარებელი ღონისძიებები (საკითხთა ჩამონათვალი)	ჩატარების დრო
1.	მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.	**სექტემბერი. 2022წ.**
2.	კლასის კონტიგენტის დაზუსტება, მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგება და სასკოლო დოკუმენტაციის წარმოება.	**სექტემბერი. 2022წ.**
3.	გაკვეთილების ცხრილის გაცნობა. კლასის ქცევის წესების ურთიერთშეთანხმებულად შედგენა. სკოლის შინაგანაწესის განხილვა.	**სექტემბერი. 2022წ.**
4.	გაცდენებისა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობა	**სექტემბერი. 2022წ.**
5.	მშობელთა კრება ორგანიზაციულ საკითხებზე.	**სექტემბერი. 2022წ.**
6.	მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მუდმივი კონტაქტი დასწრების წესების შესახებ ზუსტი ინფორმაციის გაცნობა. მოსწავლეთა გაცდენა -მოსაწრებაზე მუდმივი ორმხრივი კონტროლი.	**მთელი წლის მანძილზე**
7.	ყოველი მოსწავლის მიდრეკილებიბისა და საჭიროებების დადგენა მათ განვითარებაზე ზრუნვა.	**მთელი წლის მანძილზე**
8.	მოსწავლეთა გამოცხადების და დაგვიანების ყოველდღიური აღრიცხვა.	**მთელი წლის მანძილზე**
9.	კლასის კრებების ორგანიზება	**საჭიროებისამებრ**
10.	გაცდენების კონტროლი , მიზეზების დადგენა	**მთელი სასწავლო წლის მანძილზე**
11.	მოსწავლეთა მოსწრების მონიტორინგი და მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებისთვის ზრუნვა	**მთელი სასწავლო წლის მანძილზე**

12.	სასწავლო ნივთების ტარებაზე კონტროლი	**მთელი სასწავლო წლის მანძილზე**
13.	ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან.	**საჭიროებისამებრ**
14.	სისტემატური ურთიერთობა სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებასა და ქცევაზე	**მთელი სასწავლო წლის მანძილზე**
15.	სასწავლო წლის დასაწყისში ერთდღიანი ექსკურსიის მოწყობა	**სექტემბერი**
16.	თვეში ერთხელ სადამრიგებლო საათის დაგეგმვა. სავარაუდო საკითხები კლასის საათისთვის:	
17.	**კულტურული მემკვიდრეობის დაცვა**	**ოქტომბერი**
18.	**როგოადამიანის უფლებები**	**ნოემბერი**
19.	**სამოქალაქო უსაფრთხოება**	**დეკემბერი**
20.	**კულტურული მრავალფეროვნება**	**თებერვალი**
21.	**ჯანსაღი ცხოვრება**	**მარტი**
22.	სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა	საჭიროებისამებრ
23.	სამხატვრო გალერეას დათვალიერება	ოქტომბერი
24.	სტუმრობა სპექტაკლზე ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში	ნოემბერი
25.	სკოლის დამამთავრებელი ღონისძიების ჩატარება **„ ბოლო ზარი“**	მაისი